ცალკე ნომერი ეღირება 10 კაპ.

ვასო აბაშიძე ბენეფის. გამო

ქართულ თეატრში პარასკევს, 19 მარტს.

ეროვნული ბიბლიოთეკა
თბილისი

№ 11

ᲙᲕᲘᲠᲐ, 14 ᲛᲐᲠᲢᲘ, 1910 Წ.

ᲬᲚᲘᲣᲠᲐᲓ 5 Მ. ᲜᲐᲮ. ᲬᲚᲘᲗ 3 ᲛᲐᲜ. ᲪᲐᲚᲙᲔ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ 10 Გ. ᲡᲘᲚᲘᲡ ᲛᲝᲬᲔᲠᲐ: ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲐ ᲓᲠ. ᲡᲐᲖ. ᲙᲐᲜᲪ., ᲘᲝᲡᲔᲑ ᲘᲛᲔᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘᲗᲐᲜ.

შინაარსი: ჩვენი მოვალეობა ისტ. წინაშე (მეფ.); გამოურკვეველი მდგომარეობა, გ. ფოცხოველისა; ფარსი, Par -don-ისა; შთაბეჭდილებანი, Შ. იუნკერიისა; დრამატიული საზოგადოების წევრი, ივ. გომართელისა; მოკვდა, ელ. დეკანოზიშვილისა; ლექსი მიმქრალისა; 1909-10 წლის სეზონი; ბიბლიოგრაფია, ციხისკარისა; სათეატრო ამბები.

14 ᲛᲐᲠᲢᲘ 1910 Წ.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲝᲕᲐᲚᲔᲝᲑᲐ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ. დება ოცდაათი წელიწადი, რაც ჩვენს ხალხში სინათლის გამავრცელებელთ ქართ. სამუდამო სცენასა და დრამ. საზოგადოებას საძირკველი ჩაუყარეს...

ამ **30 Წ.** განმავლობაში ბევრი შავი დღე გარდიტანა ქართულმა სცენამ, მაგრამ რა მდგომარეობაშიაც ამ ჟამად იგი და დრამატიული საზოგადოებაა, არასოდეს არა ყოფილა...

დღეს ცხოვრებამ ჩვენს სცენას ეოფნა არ ეოფნის საკითხი წამოუყენა და ითხოვს სწორს, მიუკერძებელსა და ჭეშმარიტს პასუხს: კვლავ იარსებოს, თუ ჩვეულებრივ საცოდავ, უბადრუკ მდგომარეობაში მათხოვრობით დალიოს დღენი თვისნი?!..

ჩვენ უკვე არა ერთ გზის გამოვსთქვით აზრი ჩვენის სცენის ძირითადი ცვლილების შესახებ და ახლა თუ მოვიგონეთ, მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენს საზოგადოებას კიდევ ერთხელ მოვაგონოთ თავისი მოვალეობა სამშობლო სცენის, თავის ქვეყნის ტვირთ-მძიმე ხალხისა და ისტორიის წინაშე...

მთელი 30 წლ. განმავლობაში და უფრო მეტს ხანსაც ქართული სცენა ერთი უპირველესი იარაღი იყო ხალხში სიბნელისა, ველურობისა და არა-ადამიანობის განსაფანტავად, ერთი უმთავრესი საშუალება საზოგადოებაში უმაღლეს მისწრაფებათა გავრცელებისა...

ამიტომ ამ წლის 22 ივნისის აღსანიშნავად, მოვალენი ვართ მადლობით მოვიხსენიოთ იმათი სახელი, რომელთაც ეს სასიქადულო საქმე—სამშობლო სცენა—დაგვიარსეს... და თუ მათი ხსოვნა ჩვენთვის მართლა ძვირფასია, ამ თავითვე უნდა შევუდგეთ საქმეს, რომ ამ ეპოქის აღსანიშნავად ჩვენს სცენას მოვაპოვებინოთ ის ადგილი, ის ხარისხი, რომელსაც ჭეშმარიტი ხელოვნება მოითხოვს, და მის მუდმივ ჭეშმარიტ მსახურთა ცხოვრება უზრუნველყოთ...

აი, ჩვენი სიტყვა, ახლა საქმეა საჭირო!..

ნაწყვეტ-ნაწყვეტი

გამოურკვეველი მდგომარეობა

რა მინდა, მეც არ ვიცი! რაღაც მაწუხებს, რიღაცის გამოთქმა მინდა, მაგრამ სიტყვას ვერა ვპოვებ, რაღაც გამოურკვეველი ნისლი მბურავს!.. გული რად კვნესის?!—ვერ გამირკვევია! რად ვშფოთავ,—ჩემის თავისთვის პასუხი ვერ მიმიცია!.. ვუცქერი ადამიანთ: დარბიან, დაძრწიან, უგზო-უკვლოდა დღიური ზრუნვით გატაცებულნი! ყველას უკმაყოფილება აჩნევია!.. რაღაც აწუხებთ! აჩრდილსავით მიმოქრიან... ღიმილ-ლაპარაკსა და მიხვრა-მოხვრაში ძალდატანება შეჰპარვიათ.. ურთი-ერთს თვალს არიდებენ, აცა-ბაცა იყურებიან, ან მორცხვად ძირს იცქირებიან...რაღაცა ჰქენჯნით, თითქოს ერთმანეთთან დამნაშავენი იყვენო!.. ერთმანეთს უგულოდ, ზანტად აძლევენ სალამს-!.. თუ მუსაიფს შეჰყვენ,—ფლიდობენ, ურცხვად სტყუიან, საგანი საუბრისა ვერ უპოვიათ!.. თითქო საერთო არა აქვთ-რაო, ცდილობენ ჩქარა ურთიერთს გაექცენ...

გული არ შესტკივათ იმ საქმისათვის, რომელსაც ემსახურებიან, მანქანისებურად, შეუგ-

ნებლად ასრულებენ ნაკისრ მოვალეობას და ისე რბის მათი სიცოცხლის დღენი, რომ ერთხელაც არ ჰკითხვენ თავს, რისთვის დაიბადნენ... ეძებენ, ელიან რაღაცას და მთელი მათი „საქმიანობა“ ვეება კითხვითი ნიშანს გამოხატავს...

ბუნებაშიაც მონობის, დაჩაგვრის სული ტრიალებს!.. გაზაფხული ზამთარს ებრძვის, ცდილობს ველ-მინდვრის ტურფად აღაღანებას, მაგრამ განრისხებული ზამთარი სუსხავს, დაჰყვირის: ნუ იმოსები, ნუ კეკლუცდები, შვებას ნუ ეძებ, მიწას ჩაძვერი...

რამ დაგვიკარგა სულის სიმშვიდე, რამ დაგვაშორა ერთმანეთს, რამ დაგვაბნია?! რამ მოგვისპო საერთო მიზანი?! რათ გავურბით ურთიერთს?! რადა გვრცხვენიან? ნუ თუ აღარაფერი გვაერთებს?! მაშ ვკვდებით?! გადავგვარდით?!.

მაგრამ, სჯობია უცებ სიკვდილი, ვიდრე ნელ-ნელა მწარე დაცინვით გადაგვარება!..

მე მაინც ვერ გამირკვევია, რად, რისთვის?!. რა არის ამის მიზეზი?

არ მინდა სიკვდილი! . ველი სიცოცხლეს ნათელსა, წმიდას, ანკარას... თავისუფლებასა! ნუ თუ არ ველირსებით?!..

გიორგი ფოცხოვლი

შთაბეჭდილებანი

(ლისოვსკის ლექციის გამო. დასასრული *).

პირველ წერილში აღვნიშნეთ გონების „ხეტიალი“ წარსულს საუკუნეში. განვიხილოთ, რა აზრისა იყო ლიტერატურა ამგვარ „ხეტიალის“ შესახებ, საით იყო მიმართული მისი სიმპატია-ანტიპატია. განვიხილოთ ლიტერატურის-მიერ განცდილნი ცვლილებანი უკვდავ ბალზაკიდან ჩვენ დრომდე.

ბალზაკი იმდენად ეხებოდა პიროვნებას, რამდენადაც ეს გაუადვილებდა საზოგადოებრივ ორგანიზმის შესწავლას. ვიქტორ ჰუგო იმდენად აქცევდა ყურადღებას სოციალურ ცხოვრების ფაქტებს, რამდენადაც ეს უკანასკნელნი აღნიშნავდენ პიროვნების მონებას, მის ჩაგვრას, მის ბედსა და უბედობას. ემილ ზოლას რომანებში საზოგადო პსიხიკამ ადგილი დაუთმო ინდივიდუალურ პსიხიკას. მარსელ პრევო და ოქტავ მირბო უფრო გაბედულად წავიდენ წინ ინდივიდუალიზმისაკენ. მათი ნაწერების თითოეული ფურცელი მოწმობს რაღაც არა ჩვეულებრივის ტრაგედიის არსებობას. ეს ტრაგედია სულსა და გულს უღრღნის მათ გმირებს. რაში მდგომარეობს სულის ეს ტრაგედია? რა როლს ასრულებენ ამ ტრაგედიაში სული და გონება? ამ საჭირბოროტო საკითხის გარდაწყვეტა თავს იდვა მოდერნიზმმა.

ამაღლებულ, გაშუქებულ, გაფაქიზებულ, ყოველი ცოდვის გამომსყიდველ სიყვარულის მოციქულმა მეტერლინკმა თავის დრამა-ზღაპარში „ბრმანი“ დაგვიხასიათა ეს ტრაგედია. დააცქერდით კარგად! თქვენ დაინახავთ, რომ ეს თორმეტი უსინათლო ადამიანი კაცობრიობაა, რომელმაც დაკარგა თავისი ბელადი—რელიგია, რომელსაც შერჩა მხოლოდ ერთი თვალხილული ნორჩი ყმაწვილი—გონება და მისი ნაყოფი მეცნიერება. დააცქერდით კარგად! თქვენ დაინახავთ კაცობრიობის სევდას, რომლის აკვანი და სიკვდილი ისტორიამ არ იცის. თქვენ დაინახავთ მარტოდშთენილ სულის გოდებას; თქვენ დაინახავთ უნივერსის გოდებას!...

პშიბიშევსკი უფრო შორს წავიდა ტრაგედიის ამგვარ დახასიათებაში. მისი აზრით: „პირველ ყოვლისა იყო სქესი; თავის გასართობად სქესმა წარმოშვა გონება; გონებამ იუკადრისა გამრთობ მოსამსახურის როლი და აჯანყების დროშა აღმართა. ამგვარად დაიწყო სქესსა და გონების შორის ომი, რომელიც გათავდა გონების დამარცხებით... ცხოვრება უბრუნდება არა-ორგანიულ ბუნების სინტეზს“.

აი, თანამედროვე ადამიანის სულიერი ტრაგედია, მისი ვაება და სენი. სული განშორდა გონებას და ცხოვრებს თავის სპეციფიურ მისტიკურ ცხოვრებით. სულის აზრით გონება ცხოვრების დეკორატორი ყოფილა. სულმა არ იკმარა გონებასთან განშორება; მან ბრძოლის კიჟინი დასცა, მაგრამ თვითაც დაიღუპა და გონებაც დაღუპა. დიაგნოზი აღბეჭდილია იმგვარ ექიმთა-მიერ, როგორნიც არიან მეტერლინკი, ოსკარ უაილდი და პშიბიშევსკი. საჭიროა მხოლოდ რეცეპტი.

*) იხ. თ. და ცხ. № 10.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საჭიროა მკვეთრი წამალი განკურნებისათვის.

იმ დროს, როდესაც ბუმბერაზ მეტერლინკს თავს დაადგა დიდების შარავანდედი, როდესაც წამებული ოსკარ უაილდი და პშიბიშევსკი მსოფლიო მწერალთა გუნდის დამამშვენებლად შეიქმენ, აუჩქარებლად, დაფიქრებით სცენდებოდა ახალი ყვავილი—კნუტ გამსუნი. ამ ნორჩს პოეტს არგუნა ბედმა ზემოხსენებულ საჭირო რეცეპტის შედგენა („პან"). მისი გმირი განშორდა თანამედროვე საზოგადოებას და ჩაეხუტა პირველყოფილ ბუნების გულს. მას უყვარს ყველაფერი ამ ბუნებაში: უძრავნი ხენი, პირუტყვნი, მწერნი, ფრინველნი; მას უყვარს ოკეანესი დიდებული გალობა, მას უყვარს სინათლე, წყვდიადი, სიჩუმე, რომელიც ასე იდუმალად ებაასება მის სულს. იდეა! ჩვენ უნდა გვიყვარდეს სიცოცხლე, ყოველივე მისი კუთხე, მისი ავი და კარგი. მხოლოდ ამგვარ სიყვარულს შეუძლია ადამიანის გაციებულ გულის და დამსხვრეულ გონების მკვდრეთით აღდგენა. განიკურნა კი პანის სული? დიაღ, განიკურნა; მხოლოდ წამლობისათვის მოუმზადებელმა მისმა ბუნებამ ვერ გაუძლო განკურნებას და თან გადაყვა მას. აშკარაა, განკურნებულ პანის დაღუპვა მისი რომელიღაც შეცდომის შედეგი ყოფილა. იგი განშორდა თავის მსგავსს ადამიანს, როდესაც იგი უნდა დაჰბრუნებიყო კაცობრიობის კერას („ლურჯი ფრინველი"). აქ დაინახავდა პანი, რომ თითოეული ქვა ამ კერისა წარმოადგენს ჯამს ჩვენის წამების, სიხარულის, მძულვარების და სიყვარულისას... აქ გახდებოდა იგი კულტურის და ცივილიზაციის პიონერად. მხოლოდ აქ გაჰკაფავდა მისი ცული ავსა და აღაშენებდა კარგს. მხოლოდ ამ მშობლის მოსიყვარულე, მოალერსე კალთაში შეაფარებდა იგი შემოქმედებით დაქანცულს თვის ტანჯულს სულს...

პეტრე იუნკერი

*
* *

ზოგი ეტრფის პირბადრ მთვარეს,
ვარსკვლავთ კრებულს, ნაზად მცურავს,
ზოგი ტურფა ქალწულის წინ
ქედს იხრის და თვალებს ლულავს.

ზოგი ყვავილს ჩაჰკონვია,
იმითი გრძნობს ნეტარებას,
ხან ცას შესთხოვს წყლულის წამალს,
მისგან ელის ლხენას, შვებას.

მე ისევ ზღვას, ცხოვრების ზღვას,
დავცქერივარ მოუთმენლად,
მისგან ველი განკურნებას,
იმას ვსახავ ტანჯულთ მხსნელად.

მიმძრალი

დრამატიული გამგეობის წევრი

ვოდ. 2 მოქ თხუზ. **ივ. გომართლისა**

მ ო ქ მ ე დ ნ ი:

პეტრე, ადვოკატი
ცოლი
სიდედრი
იასონი, მსახური
ყბა-ახვეული
ყმაწვილი
ახალგაზდა ყრუ
ჩინოვნიკი
ლოგი
ენა-ბლუ ყმაწვილი
მამა, მიკიტანი
ამისი შვილი
სირაჯი
პირველი პოეტი
მარო, აქტრისა
ლიზა ბერიძისა
დედა
ამისი ქალიშვილი
მეორე პოეტი

მოქმედება პირველი

სცენა წარმოადგენს ორ ოთხას. მარცხენა—მოზრდილი ზალაა, მარჯვენა—უფრო პატარა, ვექილის კაბინეტი. ზალიდან კაბინეტში კარი შედის. ზალაში დიდი მაგიდაა და ზედ გაზეთები და წიგნებია. კაბინეტშიაც მაგიდაზე წიგნები და გაზეთებია. სცენა რამოდენიმე ხანს ცარიელია. შემოდის პეტრე, ხელები ჯიბეში აქვს ჩაწყობილი, გაივლ-გამოივლის ზალაში სტვენით. შემოვა იასონი. პეტრე თავის კაბინეტში შედის, მაგიდას მოუჯდება და გაზეთს კითხულობს.

პ ე ტ რ ე დ ა ი ა ს ო ნ ი

იას. ახლა უნდა ძილს შევუდგეთ მე და ჩემი ხაზეინი! მაინც არ მძინებია წუხელის რიგიანად! (ჩაჯდება საგარძელში და ხმა მაღლა ამოქნარებს) მაინც რა ეშმაკმა გააწყო ასე ავაზაკობა, ქურდობა, კაცის კვლა და ათასი უბედურება? ღმერთმა მოგცეს ის იყოს და ამ ჩემ ხაზეინს არა ეშველა-რა. სულ უკან და უკან მიდის ამის საქმე. მერე ლაპარაკი მაინც არ იცოდეს. რომ დეიწყებს თურმე სუდში ლაპარაკს, რავა გეკადრება! აღარც შეისვენებს, აღარც დეიხვნეშებს, აღარც ამოისუნთქებს, სულ სხა-

პა-სხუპით მიაყრის სიტყვებს პროკუროვს და სუდიას და წყალივით ჩეივლ-ს ბოლომდინ. ამას წინეთ, იცოცხლე ეგ პროკუროვს შეება და შეება, შეება და შეება; პროკუროვმა. რომ ერთი თქვა, ამან ორი უთხრა, იმან რომ ორი უთხრა, ამან ოთხი, იმან რომ ოთხი უთხრა, ამან ისე მიაყარა ჯორის ტლინკებივით, რომ პროკუროვს ენა ჩავუარდა, სულ დეებნა დავთარი და რომ ველარაფერი მოახერხა, გადმოიღო ზაკონის კანონები, ჩხრიკა, ჩხრიკა და გამონახა იმისთანა სტატია, რომელიც ჩემი ხაზეინის ტუსაღს შიგ პასელენიაში უკრავდა თავს. პროკუროვი თავმომწონეთ გეიჭიმა თურმე, მაგრამ მალე მტერი მოგიკვდა მალე ის მოიკუნტა. წამოუყენა აგერ იმისთანა სტატიები ჩემმა ხაზეინმა, რომ მთელი დღე ეძებს ჩლენებმა და სუდიებმა, მარა ზაკონის კანონებში თქვენც არ მომიკვდეთ ის სტატია იმათ ვერ ნახეს. მთლად წახდენ და დეიბნენ მურმე. ესაა ნიჭი, აბა რავა გგონიათ, ზაკონში ჩაწერილს მეცკი ამოვიკითხავ. ამას რა დიდი აზრი და საქმე უნდა, მარა იმისთანა უნდა გამონახო შენი ტვინიდან, რაც ზაკონის კანონებში სულ არ არის. ამისთანა ადვოკატია ჩემი ხაზეინი. რაღას იზამდენ სუდიები, აგერ პასელენია რომ ჰქონდათ გამზადებული, გადასახლება გადაუწყვიტეს მარტო. (ბაუზის შემდეგ) მარა, რა გახდა, რა! მაგრამ ეს ხალხი მაინც გაწყდა!. (ბაუზის შემდეგ) ეეჰ! (ამთქნარებს) ერთი კარებში შევიბვრიტო, თუ ჩემ ხაზეინს სძინავს. (იბვრიტება კარებში)

პეტრე. (გაზეთს გადაგდებს) დასწყევლოს ეშმაკმა! კაცის კვლა, დაჭრა, გაძარცვა, ავაზაკობა—სულ სავსეა გაზეთი აისთანა ამბებით და კლიენტები-კი აღარსად არის. (თავს უკან გადასდებს და თვალებს დახუჭავს)

იას. მორჩა, მშვიდობით, აწი მეც შემიძლია ალხეინად გავსწვე და დავიძინო. (ჩაჯდება სავარძელში და იძინებს)

პეტრე. (ძილში დაბარაკობს) ჩემო საყვარელო სონა! მართალია ცოლი შევირთე, მაგრამ მე შენ ისევ ძველებურად... მიყვარხარ... მი... მი... მიყვარხარ.

იას. (ძილში ბოდავს) ჩემო ქალბატონო... არ შემიძლია... არ შემიძლია... უნდა გაკოცო... გა... გა... გაკოცო.

პეტრე. (ძილში) ერთი კიდევ მაკოცე... ერთი... მა.. მა... მა... (ვითომ ჭვრეტის, თავს მაგიდაზე დაჭვრავს და გაედვიძება, აქედ-იქით იხედება, თვალებს იფშვნეტავს) ხომ არავის გაუგონია ნეტავი... (იხედება აქედ-იქით)

იას. (ძილში) კიდევ უნდა გაკოცო, კიდევ უნდა... ქალბატონო... (წინ წამოიწევს, შეირხევა და გამოეღვიძება, თვალებს იფშვნეტს და აქედ-იქით იხედება) თუ ჩემმა ხაზეინმა გეიგონა, დევიღუპე სწორეთ; არა ქალბატონის კოცნა რა დასასიზმრებელი იყო, შე დალოცვილო ღმერთო, შენი სამართალი კი დეიღოცა, თუ ხაზეინმა გეიგონა, უნდა გადავიკარგო აქედან. (კარებისკენ მიდის და იხედება კლიტის ნახვრეტში)

პეტრე. თუ იასონმა გაიგონა, უნდა დავარიგო, რომ კრინტი არ წამოსცდეს, თორემ გძელი ენა აქვს და წამოაყრანტალებს. (ადგება და კარებისკენ მიდის. იასონი ამ დროს კარებში იხედება და პეტრე რომ კარს გაადებს, კარი შიგ შუბლში მოხვდება იასონს)

იას. (შუბლზე ხელს იტაცებს და გამოტრიალდება) უჰ, შენი ოჯახი დააქცია ღმერთმა! ნეტავი ქე მაინც მეკოცნოს.

პეტ. იასონ, აქ მოდი. (შეტრიალდება კაბინეტში)

იას. (თავისთვის) კი ბატონო, ნამდვილად გაუგონია და წავხდი კაცი. კარების იქით ფეხს არ გავდგავ და თუ შემოსაკრავად წამოიწია, გავასწრობ. (შუა კარებში გაჩერდება)

პეტ. კარებში რას ატუზულხარ, აქ მოდი.

იას. აქანა უკეთ გაბლავართ, ბატონო.

პეტ. (თავისთვის) ნამდვილად გაუგონია.

იას. ეჭვი არ არის გაუგონია.

პეტ. გაიგონე, ბიჭო?

იას. მესმის, ბატონო.

პეტ. რა გესმის, ბიჭო?

იას. რასაც თქვენ მიბძანებთ, ბატონო.

პეტ. როგორ ბანზე აგდებ სიტყვებს; აბა მომიყევი რაც იყო.

იას. ნეტავი მაშინაც არ მომხდარიყო, ბატონო, თორემ ახლა რავა გამიწყრება ღმერთი, რომ ამას მოგიყვეთ კიდე. გეფიცებით ჩემ სინდისს, პატიოსნებას, ყმაწვილ-კაცობას, რომ მე არასოდეს გულში ცუდი არ გევივლო და არც ვიფიქრო თქვენზე, მარა სიზმარი უბედურია და...

პეტ. ჰო, კარგი, კარგი! მხოლოდ კრინტი არ დაგძრეს, კრინტი ჩემ ცოლთან, ან ჩემ სიდედრთან არა წამოგცდესრა, თორემ იცოდე!..

იას. თუ თქვენ არაფერი არ წამოქცდებათ, ბატონო, მე რავა გამიწყრება ღმერთი, ისე მოვუქერ ენას კბილებს, რომ ქალბატონთან სულ ალარ ამოვიღებ ხმას. რასაც მკითხავს ან ასე ვუპასუხებ (თავს აქნევს თანხმობის ნიშნად) ან ასე! (თავს აქნევს ეუარის ნიშნად)

პეტ. დიდხანს ვლაპარაკობდი?

იას. კი, ბატონო, დიდ ხანს... (თავისათვის) ახლა კი დამებნა დავთარი, არაფერი ალარ მესმის, მე ვლაპარაკობდი თუ ის.

პეტ. მერე რატომ არ გამაღვიძე, შე ტუტუცო? ხომ მიხვდი, რომ წამოვდექი.

იას. (გაოცებული) ჰმ, მივხვდი, ბატონო, როგორ არ მივხვდი.

პეტ. უნდა შემოსულიყავი და გაგაღვიძებდი, თავი ცუდად მედო და სიზმარი იმიტომ ვნახე.

იას. (გაოცებული) რავა, თქვენც ნახეთ სიზმარი, ბატონო?

პეტ. მე რა უნდა გამეგონა?

იას. არაფერი, ბატონო, არაფერი.

პეტ. წადი. თუ ვინმე მოვიდეს, შემატყობინე. იცოდე ჩუმად იყავი.

იას. (გამოტრიალდება. ჩაჯდება სავარძელში და ჩუმად იცინის) თურმე ამასაც სიზმარი უნახავს. მე კი ქალბატონს ვპროშტავდი... მარა ეს ვიღას პროშტავდა ნეტავი! (შემოდის უბა-ახვეული კაცი)

იგინივე და უბა-ახვეული

უბა-ახვეულ. არიქა, ჩქარა, ჩქარა მიშველეთ!

იას. ახლავე, ამ მინუტში... უთუოდ ძალიან მოუბრეგვიათ და ჩივილს აპირებს. (მიუახლოვდება) ჩემი ხაზეინი იმისთანა არის, იმისთანა, რომ უთუოდ ამოგიგებს.

უბა-ახვ. მეც სწორედ ამოღება მინდა... ალარ შემიძლია მეტი მოთმენა.

იას. (კარებში შედის) ერთი კაცი გიახლათ, ეტყობა ძალიან მიბეგვილი არის.

პეტ. დაუძახე. (დიდ წიგნს გადაშლის და შიგ ჩაჩერებია, უბა-ახვეული შემოდის და შორი-ახლოს დადგება. ბეტრე რამდენსამე ხანს წიგნს თვალს არ აშორებს, შემდეგ შეხედავს უბა-ახვეულს) დაბძანდით! (სკამზე უთითებს) უთუოდ ძალზე ნაცემია. (მაგიდის უჯრიდან ქაღალდს ამოიღებს და წინ დაიდებს. ფანქარს აიღებს ხელში) თქვენი სახელი, მამის სახელი და გვარი?

უბა-ახვ. მ.ლაქია მელიტონის ძე მალაქიაშვილი.

პეტ. (თავისთვის იმეორებს) მალაქია მელიტონის ძე მალაქიაშვილი. (სწერს) თქვენი წოდება?

უბა-ახვ. ბატონო, ეგ ყოველიფერი მერე ჩაწერეთ და ახლა მიშველეთ რამე.

პეტ. მოთმინება უნდა იქონიოთ, ერთბაშად არაფერი არ იქნება. ეს ყველაფერი საჭიროა თქვენი საქმისათვის, ყველაფერი... თქვენი წოდება?

უბა ახვ. აზნაური. (თავისათვის) ამისთანა გულქვა ექიმს მე პირველად ვხედავ.

პეტ. (თავისათვის) ეს კარგია! (სწერავს) ათ თუმანს ფეხს არ მოვუცვლი, რაკი აზნაურია. თქვენი ხელობა?

უბა ახვ. ბატონო, რა საჭიროა ჩემი ხელობა, მიშველეთ რამე, თქვენი ღვთის გულისათვის.

პეტ. გიშველი, გიშველი, უსათუოდ გიშველი; მხოლოდ რასაც მე გკითხამთ, იმაზე მიპასუხეთ, და თქვენ თითონ დარწმუნდებით, რომ ყველაფერი საჭიროა. მე უნდა ვიცოდე თქვენი შემოსავალი, რადგანაც ამ გვარ საქმეში ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს.

უბა-ახვ. ბატონო, ოღონდ მიშველეთ და რასაც მიბძანებთ, მოგართმევთ! (ჯიბისკენ იყურებს ხელს)

პეტ. (აჩერებს) ეგ მერე იყოს, მერე. თქვენი ხელობა?

უბა-ახვ. სახლი მაქვს საკუთარი, პატარა, და იმითი ვცხოვრობ. (თავისთვის) ამას რას გადავეყარე, თქვენი ჭირიმეთ. იმისი ოჯახი ამოვარდეს, ვინც მე აქ მომასწავლა. დალაქთან რომ შევსულიყავი, აქამდინ ათჯერ ამომიღებდა კბილს.

პეტ. (სწერს და თავისთვის) საკუთარი სახლი ჰქონია, ათ თუმანს, რასაკვირველია, მომცემს, მაგრამ ჯერ საქმეს გავეცნო. იქნება ისეთი რამეა, რომ გაცილებით მეტი ღირს. [უბა-ახვეულს] მოწმები გყავთ?

უბა-ახვ. ბატონო, თქვენ მე როგორ მი-

ყურებთ? მოწმები რად მინდა. თუნდა თავი მომჭერით, მე თანახმა ვარ, ოღონდ მიშვეღეთ... ორი ღამე არა მძინებია, მშობიარე ქალივით ვკიოდი.

პეტ. თქვენ, შეიძლება, ძალიან პატიოსანი კაცი იყოთ, მაგრამ უმოწმებოთ მაინც არ შეიძლება, ხომ იცით ახლა როგორი დრო არის. რანაირი საქმეც უნდა იყოს, რაკი სამართალის ხელში ჩავარდება, მოწმები უსათუოდ საჭიროა.

ყბა-ახვ. ბატონო, გაძლევთ ხელწერილს, თავიც რომ მომჭრათ, მე ჩივილი არ მინდა, მე მაგისთანა კლაოზნიკი კაცი არ გახლავართ.

პეტ. ჰოო, მორიგებით გინდათ გაათავოთ საქმე? ეგ სხვა ანგარიშია! აბა თქვენი პირობები მითხარით.

ყბა ახვ. თქვენ მიბძანეთ და მოგართმევთ. რაც საზოგადოთ დადებულია, მიირთვით, მეტი აიღეთ კიდევ, ოღონდ გამანთავისუფლეთ მალე. [უბაზედ იდებს ხელს ტკივილის გამო]

პეტ. (თავისათვის) რა საქმეც უნდა იყოს, მორიგებისათვის ასი მანათი კმარა. [მას] ასი მანათი ეღირება. [უბა ახვეულს ჯიბისკენ ხელი მიაქვს) რა უცებ დასთანხმდა, რატომ მეტი არ ვთხოვე. (უბა-ახვეული ამოიღებს ჯიბიდან ბორტმანს და ვერცხლის მანათიანს დაუდებს წინ)

პეტ. (გაოცებული) ეს რა არის?

ყბა-ახვ. ერთი მანათი, ასე არ მიბძანებდით?

პეტ. (ხმა მაღლა) ერთი მანათი-კი არა, ასი მანათი, ასი!

ყბა-ახვ. (გაოცებული წამოდგება) ასი მანათი? ერთი კბილის ამოღება ასი მანათი? იქნება გგონიათ, რომ მე ორივე ყბა ჩასასმელი მაქვს? ერთი კბილი მაქვს მარტო ამოსაღები, მარტო ერთი, საჭირისი კბილი (ასახვევს იხდის, ბირს აღებს და თითით უჩვენებს) აი ეს არის, აი ამან მოსპო ჩემი წუთის-სოფელი, ეს არის რომ ორი ღამე არა მძინავს; არც პლომბი მინდა და არაფერი. დაადევით გაზი და ამოიღეთ.

პეტ. (გაოცებული) თქვენ სხვას უჩივით, თუ ავად მყოფი ხართ, არაფერი არ მესმის.

ყბა-ახვ. საჩივარი რა მაქვს, სუდი საით არის, არც-კი ვიცი. კბილი მტკივა და ამის ამოღებას გეხვეწები.

პეტ. თქვენ შეგშლიათ, მე კბილის ექიმი არა ვარ, მე ვექილი ვარ; კბილის ექიმი ჩემს გვერდით დგას.

ყბა-ახვ. ვექილიო?!. აბა რაღას მაწვალებდი ამდენს ხანს, შე მამაცხონებულო; ეს რა გვარი ხარო, ეს რა წოდებისა ხარო, ეს რა სამსახურში ხარო... (გულ-მოსული გამოვა და იასთან) შე ოჯახკეტიანო, ვერ მითხარი, რომ აქ ვექილი ყოფილა და არა კბილის ექიმი! (გადის)

იას. (უკან მიაძახებს) ოჯახკეტიანიც ხარ და თავ-ლაფ დასხმულიც! ბატივით თავი აგიღია და შედიხარ საცა ღია კარებს დაინახავ; შენ თუ არ იცი ვისთან დეეთრევი, მე რა ვიცი.

პეტ. (გამოდის) ჯოხი რომ მომცა ხელში, სწორედ თავზე გადაგამტვრევდი. რას შემომიგზავნე ავადმყოფი, ვერ უთხარი, რომ აქ ვექილი დგას და არა კბილის ექიმი.

იას. რა ვიცი, ბატონო, თვითონ არაფერი უთქვამს და მე ვიფიქრე, გალახულია და საჩივარი უნდა მეთქი.

პეტ. აწი კარგად გასინჯე ვინც მოვიდეს და გამოჰკითხე ხოლმე. (შედის კაბინეტში და აქედ-აქეთ დადის. შემდეგ გაზეთს კითხულობს)

იას. მამაცხონებულს თუ კბილი სტკივოდა, ვერ მითხრა? რას მიმალავდა? (თავს გაქნევს და გადის. შემოდიან ცოლი და სიდედრი)

III

პეტრე, ცოლი და სიდედრი.

სიდედ. თუ შენ მაგრად არ დაუხვდი შენს ქმარს, იცოდე, სულ დაგიჯაბნებს. უუ, შენ არ იცი, რა უსინიდისოები და ძაღლები არიან მამაკაცები. ეგენი სუყველანი ერთმანერთსა ჰგვანან. დაიჩაგრები, წახდები და მერე ისევ მაგას შეძულდები.

ცოლი. მესმის, დედაჩემო, მაგრამ აბა ერთი მითხარი რა ვქნა?

სიდ. რა უნდა ქნა და უსათუოდ უნდა წახვიდე სათავად-აზნაურო ბალში, მთელი ჩვენი არისტოკრატია იქ იქნება.

ცოლი. განა მე არ მინდა წასვლა, მაგრამ ბალში წასასვლელად სხვანაირი კაბაა საჭირო, მე კი არა მაქვს.

სიდ. არა გაქვს და შეაკერინე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცოლი. დედა, რითი შევაკერინო, როდესაც ფული პეტრეს სრულებით არა აქვს.

სიდ. არა აქვს და იშოვნოს, სადაც უნდა იქ იშოვნოს.

ცოლი. რითი იშოვნოს, დედა, როდესაც საქმეები სულ აღარ არის.

სიდ. ეგ სრულებით შენ არ გეკითხება, საქმეები არის თუ არა. მაშ ქმრებს რომ საქმეები არა ჰქონდეთ, ცოლები შიმშილით უნდა დაიხოცნენ. შენ რას დაეძებ საქმეები არის თუ არა. ქმარი მისი ქმარია, რომ საქმისათვის იმან უნდა იზრუნოს და არა ცოლმა.

ცოლი. მაშ რა ვქნა, დედა?

სიდ. რა ჰქნა და მიდი ქმართან და უთხარი, რომ კაბის ფული უსათუოდ გიშოვნოს დღესვე. სადაც უნდა იქ გიშოვოს. თუ თავიდანვე მაგრად არ დახვდი, სულ აღარ მოგაქცევს ყურადღებას. თუ იმან ხმამაღლად დაგიწყოს ლაპარაკი, შენც დაუწყე, წიეჩხუბე.

ცოლი. დედა, აბა პეტიას როგორ წავეჩხუბო?

სიდ. ტუტუცო, გულით კი ნუ წაეჩხუბები, განგებ მოიგონე. ქმარს ისე უნდა უჩვენო თავი, რომ შენი ეშინოდეს. თუ აქედანაც არა გამოვიდეს რა, ისტერიკა უნდა მოიგონო, უნდა გადიქცე, ვითომ გული შემიწუხდაო, აი ასე: ოჰ, ოჰ, ოჰ... (თითქოს გული შეუწუხდაო, თავს გვერდზე გადააგდებს, კლავები ჩამოუშვებს და სკამზე დაეშვება, შემდეგ წამოდგება) აბა, შეკიდეთ. (ორივენი პეტრესთან შედიან)

ცოლი. შენ უსაქმოთა ხარ, პეტია?

პეტ. როგორცა ჰხედავ.

ცოლი. (ფანჯარაში იხედება). რა საუცხოვო ამინდია.

პეტ. საუცხოვო, საუცხოვო.

სიდ. შვილო, პეტია, როგორ შეიძლება, საცაა სათავად-აზნაურო ბალი იქნება და თქვენ კი არაფერ მზადებაში არა ხართ.

პეტ. რა მომზადება უნდა? ავდგეთ და წავიდეთ, როცა იქნება.

ცოლი. წასვლას შესაფერი კაბა უნდა, პეტია.

პეტ. კვირაში ორ კაბას იკერავ და ერთი-ერთი როგორ არ გამოდგა იქ ჩასაცმელად.

სიდ. პეტრე, შენი ლაპარაკი სწორედ გაუგებარია. ბალში უბრალო კაბით წასვლა ვის გაუგონია?

პეტ. მაშ რა არის საჭირო?

სიდ. რა და ბალის კოსტიუმი სულ სხვა არის.

პეტ. (ცოლს) რა ვქნა, აკი გაქვს კოსტიუმიც.

ცოლი. ბალის კასტიუმი არა მაქვს, პეტია.

პეტ. რა დაჯდება ეგ შენი ბალის კოსტიუმი?

სიდ. შენი ცოლი ხომ უბრალო კაბით არ წავა და შვიდი-რვა თუმანი მაინც დაჯდება.

პეტ. დღეს ისეთი კრიზისია ჩვენს პროფესიაში, რომ არათუ რვა თუმანი, რვა მანათის შოხერხება არა მაქვს.

სიდ. ეგეც ჩვენ ვიდარდოთ. ქმარი მისი ქმარია, რომ უნდა იშოვოს, როცა ეს საჭიროა. ყოველი ქმარი, რომელსაც კი თავისი ცოლი უყვარს, რომელიც კი თავის ცოლს აფასებს, პატივსა სცემს, ესე სჩადის.

ცოლი. პეტია, თუ გიყვარდე უნდა ფული მიშოვნო, რომ კაბა შევიკერო.

პეტ. დღეს მე ერთი კაპეიკის შოვნა არ შემიძლიან, ერთი კაპეიკის, გესმის თუ არა, რას ჩამაცივდით. (ბოლთასა სცემს, ქალი დედას შეჩერებია, დედა თვალის და თავის ქნევით ანიშნებს)

ცოლი. (ვითომ ისტერიკა მოუვიდა). ოჰ, ოჰ, ოჰ!.. მიშველეთ, მიშველეთ... მი... მი... (სკამზე დაეცემა)

სიდ. (მივარდება ქალს) ვუი, ვუი, ვუი!.. მიშველეთ, მი... მი... (ჩაეშვება)

პეტ. ოოჰ, ესღა გაკლდათ სწორედ... მე ისტერიკებისა არა მწამს რა. (გავა ზალაში. ცოლი და სიდედრი თვალდახუჭულნი კრუსუნობენ)

სიდ. (ხუთის შემდეგ თვალებს ახელს) ოჰ, ოჰ, ოჰ! (თავს ნელ-ნელა წამოიწევს) ოჰ, ოჰ, ოჰ, (აქეთ-იქით იხედება და შემდეგ ზეზე წამოდგება, აკი წასულა ის შეჩვენებული!..

ცოლი. (თვალებს გაახელს და წამოხტება) წასულა! ალბათ მიგვიხვდა, დედა, და ახლა მართლაც რომ შემიწუხდეს გული, მაინც აღარ დაიჯერებს, სულ შენი ბრალია.

სიდ. ჩემი კი არა, შენი ბრალია. ისე უშნოთ ჩაეშვი ძირს, ვინ არ შეგატყობდა, რომ იგონებდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცოლი. მე თუ უშნოთ ჩავეშვი, რატომ შენ არ ჩაეშვი შნოიანად.

სიდ. როცა შენი აღარ დაიჯერა, აღარც ჩემი დაიჯერა. ახლა ხომ დარწმუნდი, რა ძაღლები არიან კაცები. მიგვატოვა და წავიდა!

ცოლი. უნდა წავიდე და ჩემს პეტიას შევურიგდე.

სიდ. არა, სხვა ხერხს უნდა მივმართო. (გამოდიან ზალაში და გადიან. სცენა რამდენსამე ხანს ცარიელია. მერე შემოდის იასონი, გაივლ-გამოივლის, კაბინეტში შეიხედავს, შემდეგ ერთბაშათ ფეხებს უსვამს და თან ლეკურის ხმაზე მღერის: „ტარრარირამ რამ რა-რა-რა დრამდადარი-დრამდადარი")

იას. (სავარძელში ჩაჯდება) ეჰ, კაია კაი ცხოვრება, მედაჩემმა ღმერთმა. მე რომ ადუნკატი ვიყო, შემარცხვინა ღმერთმა, თუ ჩემს ხაზეინს არა ვჯობდე. თვალით კაი ბიჭი ვარ, ტანად კაი ვარ, ლაპარაკი გვარიანი ვიცი და სხვაი რაღა საჭიროა. (შემოდის ერთი ყმაწვილი)

IV

იასონი და ყმაწვილი

ყმაწვილი. სახლშია პეტრე?

იას. (წამოდგება) თქვენ რა საქმე გაქვთ?

ყმაწ. ეს ჩემი საქმეა, რა საქმეცა მაქვს.

იას. მეც ქე მაქვს საქმე, ბატონო. რავა, ვისაც რუსულად არ აცვია, ისინი ყველა უსაქმურია თუ?

ყმაწ. მერე გქონდეს, მე ხომ არ გართმევ.

იას. ჩემი საქმეც ის გახლავს, რომ თუ არ მეტყვით რა საქმე გაქვსთ ჩემს ხაზეინთან, ვერ შეგიშვებთ ისე. რამდენიც დამემდუროთ, ვერ, თქვენ არ მომიკვდეთ... დღესაც, რაღაც ეშმაკათ ერთი კაცი შევუშვი და ერთი საქმე დამიწია ჩემმა ხაზეინმა, ჯოხს გადაგამტვრევ თავზეო. რა ვიცოდი, თორემ იმ ოჯახდაქცეულს კბილი ტკენია და ჩვენ მოგვადგა კარებზე მაჭავარიანის ღორივით. (შეჩერდება და შეაჩერდება) მართლა, თქვენ კბილი ხომ არ გტკივათ?

ყმაწ. (ღიმილით) არა, კბილი კი არა მტკივა, ცოლს ვეყრები და მინდა შენს ხაზეინს მივანდო საქმე.

იას. ჰოო, ეგ კი შეიძლება. (ცოტა ფიქრის შემდეგ) მერე რეიზა ეყრები ცოლს მაგისთანა ახალგაზდა კაცი?

ყმაწ. (ღიმილით) რეიზა [illegible]

იას. რავა გილალატა?

ყმაწ. (სიცილით) რავა და სხვა კაცთან წავასწარი.

იას. მერე ქე გეცინება კიდეც? ვერ წააცალე ორივეს თავი? ასეა განათლებული ხალხი. (გულში ხელს იბრახუნებს) მე უნდა გამიბედოს მაგგვარი საქმე ცოლმა და რავარლაც გევეყრები, იმის თვალები დაინახავს. (პეტრე გამოდის)

პეტ. ოო, სოლომონს ვახლავარ! აქ მობრძანდით. (ხელს მოჰკიდებს და შედიან კაბინეტში. იასონი ხელებს გადაშლის, თავს გააქნევს და გავა. ყმაწვილი და პეტრე კაბინეტში დასხდებიან).

ყმაწ. მე შენთან მოციქულად ვარ გამოგზავნილი და იმედია უარს არ მეტყვი.

პეტ. თუ კი რამე შემიძლია.

ყმაწ. ამ დღეებში უნდა მოხდეს დრამატიული საზოგადოების გამგეობის არჩევნები. ინტელიგენტთა ერთმა ჯგუფმა შევადგინეთ სია ახალი წევრებისა, რომელთა შორისაც შენც უნდა იყო უთუოდ.

პეტ. მაგ საქმეში მე სრულიად გამოუცდელი ვარ, ვერაფერს ვერ გავაკეთებ და იმიტომ, უარს ვაცხადებ.

ყმაწ. ეჰ, ერთი შენც კიდევ. რა დიდი გამოცდილება გინდა. ეს ისეთი საქმეა, რომ მალე გამოიცდები და გარდა ამისა საზოგადო საქმეში ახალგაზდები უსათუოთ უნდა ჩავებათ. მაშ თქვენ თანახმა ხართ? (წამოდგება)

პეტ. ვერ შემოგპირდები, ვიფიქრებ კიდევ.

ყმაწ. ფიქრი საჭირო არ არის, ჩვენი ჯგუფი გირჩევსთ, მორჩა და გათავდა. (ხელს ჩამოართმევს) მაშ ნახვამდის!.. (გადის)

პეტ. (ცოტა ხანს ჩაფიქრებულია, მერე ღიმილი მოუვა სახეზე) დრამატიული საზოგადოების გამგეობის წევრი! სად მე და სად დრამატიული საზოგადოების გამგეობის წევრობა. ხელოვნებისა მე სრულებით არა გამეგება რა, მაგრამ სამაგიეროდ ეს საპატიო ადგილია. კრებები იქნება, მე მსჯელობა მექნება ხოლმე, ყოველივე ეს გაზეთში გამოქვეყნდება, საზოგადოება გამიცნობს და ახალგაზდა ვექილისთვის ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძალიან. (ბიჭს გასძახის) იასონ, იასონ!.. (კარს აღებს) იასონ!.. (გამოვა ზალაში. კარს აღებს) კატუშა, კატუშა! (ტოლი და სიდედრი გამოდიან)

V

პეტრე, ტოლი და სიდედრი

ტოლი. რას მეძახი?

პეტ. (დიმილით) მე და შენ შევრიგდეთ ახლა. (სიდედრი გამოდის. ტოლს ხელს ართმევს და ჰკოცნის) ახლა შეგიძლიან, კატუშა, საბალო კაბა შეუკვეთო.

ტოლი. (დიმილით) რა ამბავია, რა მოხდა, პეტია?

სიდ. (დიმილით და თავის ქნევით) მე კი არ ვიცოდი, რომ ასე მოიქცეოდი ბოლოს დროს. (აკოცებს პეტრეს შუბლში) მე რომ ჩემს ცხონებულ მიშას რამეს ვთხოვდი (გული აუჩუყდება და ცხვირსახოცით ცხვირს და თვალებს ხშირად იწმენდავს) ერთ კვირას მაწვალებდა, შემდეგ კი მაკოცებდა და ამისრულებდა. (ტირის)

ტოლი. (დედას) ნუ, დედა, რა დროს ტირილია. რა მოხდა, პეტია?

პეტ. რა მოხდა და მე ახლა გახლავართ დრამატიული საზოგადოების გამგეობის წევრი.

სიდ. რაო?! საზოგადოების გამგეობის წევრი? მერე პოლიცია? ყელსა გვჭრი?

პეტ. (სიცილით) რა პოლიცია? ეს ხომ სარევოლიუციო დაწესებულება არ არის. მთავრობისაგან ნებადართულია.

სიდ. ჰო, ვიცი, ფულები უნდა იხადო ხოლმე; შენ ცოლს ერთი კაბის გულისათვის ისტერიკა დაჰმართე და იქ კი რაღაც საზოგადოებას ფულები უნდა აძლიო და აძლიო.

პეტ. რის ფულები, რას ამბობთ; ეს არის საპატიო თანამდებობა, მთელი საზოგადოება გამიცნობს და კლიენტებიც მომემატება.

სიდ. ჰოო, ეგრე გეთქვა თავიდანვე.

ტოლი. ჩვენ კიდევ, მამაშა, თეატრში მუქთად ვივლით ხოლმე. ხომ პეტია? (ჰკოცნის)

ფარდა

ივ. გომართელი

(დასასრული შემდეგ ნომერში)

ფარსი

არტისტიული საზოგადოების თეატრი, ხელოვნების წმინდა ტაძარი და... „ნევის ფარსი“, ადამიანის წუმპის ტბორე. .

რა დაცინვაა, მკითხველო, მეტადრე, თუ შენც იტკბობ სულს ამ უსირცხვილო სანახავით! თუ შენც მატერიალური დახმარებით ხელს უწყობ პორნოგრაფიის დღეგრძელობას! დაცინვაა, მწარე დაცინვა!..

ხელოვნების უანგარო მუშაკნი თავგამოდებით ებრძვიან წყვდიადს, იგინი ანგრევენ საუკუნოებით შექმნილს გარყვნილებას, შეაქვთ ცხოველ-მყოფელი სხივი ჩვენს უფერულს ყოველდღიურ არსებობაში, ჰქმნიან სამარადისო ჭეშმარიტებას, სიმშვენიერეს...

იგინი გვასწავლიან, ზნეობას გვიფაქიზებენ... ჯილდო? ზნეობრივი სიმარტოვე, სიმშილი... დაცინვაც-კი!..

დაცინვა არ არის?! პორნოგრაფები, ნიჭით, ღვთიურ ნიჭით ვაჭარნი თავის უწმინდურ ფეხებით სთელავენ წმინდათა-წმინდას — ხელოვნების სამსხვერპლოს — სცენას. ისინი უსირცხვილოდ, მოურიდებლივ გვაჩვენებენ არა-ადამიანურ სიბილწეს, ჭუჭყს... არა-ადამიანურს, რადგან ყოველივე ამას არავითარი თვისტომობა არა აქვს ჩვენი სულის სილამაზესთან, ჭეშმარიტებასთან... ისინი შეურაცყოფას აყენებენ ჩვენს ამაყს სულს... ისინი გვრყვნიან ჩვენ და ჯილდოდ იღებენ ყველასფერს — თანხმობის სიცილსაც...

ერთხელ მაინც დაფიქრებულხართ, რომ ეს სიცილი არ არის ჯანსაღი! რომ ეს სიცილი სიფილისით, ნევრასტენიით და სხვა ვაებით დასნეულებულ არსების კვნესაა...

რომ ეს სიცილი თქვენ ანაბარად მიტოვებული ნორჩი ახალ-გაზდობის ტირილია...

რომ ეს სიცილი თქვენი ზნეობის, სინიდისის ლიკვიდაციაა...

იცინეთ!.. ჩვენც თქვენთან ერთად ვიცინებთ... მაგრამ ჩვენი სიცილი თქვენსას არ ეგვანება!..

Par-Don

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ ო კ ვ დ ა!

ღამეა. აღმოსავლეთით გაციაგებულ ცას კრთომა დაეტყო. მთვარით მოფენილ შუქზე გამოჩნდენ ღამის შავი ნისლ-ბურუსები, მთის კიდურ მწვერვალოებს დასტრიალებენ და სადღაც მის ჯურღმულებში იმალებიან. გაკამკამებულ ციაგ ლურჯ ცაზე ვარსკვლავები ამოციმციმდენ და უხვი გრძნობა დაფრქვიეს დედამიწას. დედამიწა შეკრთა, შეიშმუშნა, მაგრამ მალე ისევ მიილულა, მიიბნიდა ნეტარებით და ხმა გაჰკმინდა... შორს სადღაც კი გაისმის პატარა ნაკადულის წყნარი საიდუმლო ხმა, მირბის ცელქურად, მირაკრაკებს, თავს ახტება პატარა ქვიშა-კენჭებს და მომხიბლავი საიდუმლო ჩურჩულ-გრძნობებით მიიპარება. თავ-დახრილნი ვარდ-ყვავილ-ბალახნი ხმა გაკმენდით ჩაჰყურებენ მდინარის გულის სიღრმეს და მის მომხიბლავ საიდუმლოებას აკვირდებიან. მოკამკამე ვარსკვლავნი მაღლიდამ თავქვე ჩაკიდულან შიგ მდინარეში და ქათქათით ათვალიერებენ თავიანთ სილამაზის მოძრაობას მდინარის გაბრწყინვალებულ პირზე. დარბაისელი მთვარე-კი მედიდურად გასცილებია მდინარეს და შორიდამ თვალს ადევნებს ცელქ ვარსკვლავების კრთომა-ცქრიალს.

ღამის დარაჯსავით წამოჭიმული ჩინარის წვერო შეირხა. ცამ გაირჟრაჟა. გრილმა სიომ სადღაც გაისისინა. შორს მამლებმა ფრთები შემოჰკრეს, ატკრციალდა ბუნება, ბუნება იღვიძებს. გაისმა ხმა სიცოცხლისა, იმედი მომავალი ცხოვრებისა „გათენდა!“ შემკრთალმა დედამ თვალები აახილა. გაკაშკაშებულ ღამის საიდუმლოებას ყური დაუგდო, მაგრამ ჯერ არა! ყველგან ისევ სიჩუმე, ისევ მდუმარეა... მის გულში კი აბობოქრებულ გრძნობებს მწვავე ცეცხლი ეკიდება, უდაგავს გულის ძარღვებს; ერთი წამი კიდევ და ყველაფერს ფერფლად აქცევს.

„ო-ოხ, ღმერთო, როდის გათენდება, როდის რომ...“ მაგრამ აგერ მთვარით განათებულ სარეცელზე შეინძრა ის, თავი დედისაკენ გადააგდო და რაღაცა დაიზმუვლა. დედამ მთელი არსება გაიქვავა, სული შეიკმინდა და სმენად გადაქცეული შვილის სულის ფეთქას ჩააცქერდა ხარბად.

— რა გინდა?..

— აღარაფერი... მან იპოვა დედის ხელი, ახლოს გულთან მიიტანა და თვალები განათებულ ზეცისაკენ ამართა.

„აღარაფერი“... მხოლოდ მისი უკანასკნელი სურვილი იყო სიცოცხლის ღამაზ სურათს ღრმად დაჰკვირვებოდა და უკანასკნელი სურათი სიცოცხლისა ღრმად ჩარჩენოდა გულში.

ის ხარბად აკვირდება ვარსკვლავების ციმციმს, აცქერდება საუცხოვო სურათს ბუნებისას და მისგან, თითქო რაღაცა პასუხს ელის. მაგრამ ღამე მდუმარებად გადაქცეული ხმას არ იღებს, წარბს არ იხრის... მთვარე, ვარსკვლავები თავისი საიდუმლოებით დაჰქათქათებენ დედამიწას ჩვეულებრივად: „დასტკბით, ინეტარეთ, და ჩვენს საიდუმლოებას კი ნუ შეეხებითო“.

— „ოჰ, გულქვაო ბუნებავ, მე ვკვდები და ჩემს შემდეგ კი შენ უნდა იხარო, იცოცხლო და ინეტაროო“?..

— არა... არა დედა, მე უნდა ვიცოცხლო... ვიცოცხლო!

— უნდა იცოცხლო, უნდა, შვილო... ყელში ცრემლებ მორეულმა დედამ ყრუდ გაიმეორა და აცახცახებული ხელები შვილის გაციებულ გულს მოუსვა და მდუღარე ცრემლები ღამის შუქს მოარიდა. დედამ გადიხედა, მის ახლოს არავინ იყო, ოთახიდამ ძლიერი ხვრინვა მოისმოდა, ყველას ეძინა ტკბილად, თავისუფლად. მხოლოდ დედა, ღამის დარაჯად გადაქცეული, შვილის სულის მოძრაობასა სდარაჯობდა მთელი არსებით შებორკილი და შეხუთული.

აი ახლა დედა ერთბაშმა შიშმა შეიპყრო, შვილის სახეზე სიკვდილის მოახლოვება შენიშნა, მან შეშინებული თვალებით ხარბად ჩახედა შვილის სახეს და შეჩერებული გულიდამ ღრმად ამოიკვნესა.

სოლომ გადახედა დედას. ერთ წამს შვილისა და დედის მწარე გრძნობები უსიტყვოდ ერთმანერთში გადიხლართენ და მწარე ნაღველი იგრძნეს. „სიკვდილი“! ორივეს გულში გაიელვა მახვილმა გრძნობამ და ნატკენი გული მწარედ მოჭმუხა

სოლომ დასუსტებული თავი გაიქნია და ტანჯვით ადუღებული გულით ცას მიაჩერდა.

„ვკვდები? ნუ თუ ის ტიალი მძიმე ქვა გახდა ჩემი ბედის წერა. ამისთანა ქვები ხომ ხშირად ამიწევია, თითქმის მთელი ვაგონები დამიტვირთავს... ოხ, ნეტაკი არ წავსულიყავ!“ თითქმის ხმა მაღლა შეჰყვირა უკანასკნელი სიტყვა ხრინწიანის ხმით სოლომ და აღშფოთებულმა ხელების ქნევა დაიწყო. დედის გული ჩაითუთქა. ათრთოლებულმა რაღაცის თქმა დააპირა და უაზროდ ხელები შვილის გულ-მკერდს მოუფათურა. სოლო დაგანიერებული თვალებით მისჩერებოდა ღამის სივრცეს და ვარსკვლავების ციმციმს ერთს მეორეზე სთვლიდა და ესაუბრებოდა თავის გულის ნაღველს. „ნეტავ არ წავსულიყავ, ნეტავ არ ამეწია ის მძიმე ქვა... შეუბრალებელნი ყოფილან, სამი დღის ნაავადმყოფარს წამომიკიდეს მძიმე ქვები... აგერ ის ცოდვიანი უფროსი... რამდენს მოუღე ბოლო შენი მძიმე ქვებით... აგერ, აგერ ქალალდი და კარანდაშით ხელში როგორ გამოსწია ჩვენსკენ... უჰ, რა მეზარება, პირი მიშრება სიცხისაგან, წელ-გული აღარ მემორჩილება და... მაგრამ აგერ როგორ ჰყვირის, გვემუქრება, აღარ მოგვცემს სამუშაოს და მაშინ?.. როგორ დავბრუნდე ცარიელი ხელით სახლში! აგერ მუშები წამორეკა უგამჩენომ, აღარ დაგვასვენა... ეჰ, ავდგე, თორემ...

— ჰა-ჰაი ტა-ტა-ტა, ასწი, ასწი, ზურგი, ზურგი, სოლო, ზურგი მიუშვირე. შეაგორეთ. შეაგორეთ სოლოს ზურგზე!“ ჰყვირის და თავს დასტრიალებს უფროსი მუშებს. სოლომ მიიტანა მძიმე ქვა, მაგრამ წელი... წელი... გული ძალზე ასდის-დასდის, სუნთქვა ეკმინდება.

— მოდით, მოდით, თორემ დღეის სამუშაოს არ მოგცემთ. ჭყვირის უფროსი.

— ოჰ, შე ცოდვიანო, უგამჩენო, ავადა ვარ, ვერა მხედავ...

— ჰაი ტა-ტა-ტა! — გაისმა ისევ ხმა, მძიმე ქვა ისევ მიგორავს სოლოს ზურგზე. სოლომ მოუმზადა კიდევ ზურგი მძიმე ქვას, მაგრამ...

— ვაი წელი... გული!.. ველარ შესძლო მიტანა და გულიდამ ცხელი ქაფ-ქაფი სისხლი ამოაჩქაფუნა.

— მოვკვდი... უკანასკნელად საყვედურით შესძახა სოლომ და ერთ წამს მის თვალწინ ყოველივე გათავდა: უფროსი, მუშები, მძიმე ქვები და ხმა სიცოცხლისა.

ღამის საიდუმლო გაკაშკაშებულმა მთვარე-ვარსკვლავებმა უკანასკნელად გაუელვეს მის თვალებს, რაღაცა წასჩურჩულეს და შემდეგ ყოველივე მდუმარედ გადააქციეს.

აღმოსავლეთით განთიადის სხივებს მოსწყდა უკანასკნელი შავი შეკრული ღრუბელი, დაეშვა თავდაღმა ცის კიდურ უფსკრულისაკენ და შორს მიმავალ ღამის ნისლებში ჩაიკარგა. შემკრთალმა მთვარემ თრთოლვა იწყო ცაზე, მოციმციმე ვარსკვლავები აქა-იქ ჩაჰქრენ, ჩაიმალნენ, ღამის მნათობთ ერთბაშად ყველამ ჩახურეს თავის საიდუმლო კარი. გათავდა ბრძოლა, გათენდა!

— ვაი შენს დედა! — აღმოხდა დედას გულიდამ ტანჯული სული და შორს ღამის მდუმარებაში ჩაიკარგა...

ბუნებამ წყნარად, ჩუმად თავის გულში ჩაიქვითინა და ჩაითუთქა მწუხარება.

ყველგან მისწყდა ხმა. მხოლოდ ანკარა ნაკდულმა-კი საიდუმლოდ წასჩურჩულა მოახლოებულ განთიადს: „მოკვდა“!..

ილია დეკანოზიშვილი

27 მარიამ. 1909 წ.

ჩეხიის ცნობილი მუსიკოსი

ი. კოციანი

19^{09}_{10} წლის სეზონი

I

სეზონის დამდეგს 1909 წ. სექტემბერში კამგეობაში ითვლებოდენ ალ. გ. ჯაბადარი (თავმჯდომარე), ბარ. ალ. გოთუა (თავმჯდომარის ამხანაგი), ალ. ირ. ნანობაშვილი (ხაზინადარი), დავ. გ. ნახუტ-

რიშვილი (მდივანი), თ. ნ. დ. ერისთავი, თ. კონ. ზ. მაყაშვილი, ივ. გ. გომართელი (კანდ.), ექ. მ. დ. კილოსანიძე (კანდ.) და გ. ვ. მაჩაბელი (კანდ).

კამგეობის დადგენილების თანახმად კრებებს ესწრებოდენ გადამწყვეტის ხმით წევრებთან ერთად კანდიდატებიც. გულითადის მწუხარებით უნდა აღვნიშნოთ, რომ სეზონის დასაწყისში (30 სექტემბერს) კარდაიცვალა გ. ვ. მაჩაბელი, რომელიც მხურვალე მონაწილეობას დებულობდა დრამ. საზოგ. საქმეებში, გულწრფელად და ენერგიულად ემსახურებოდა ჩვენი თეატრისა და დრამ. ხელოვნების მოწესრიგების საქმეს.

ნოემბრის დამლევს კამგეობის თავმჯდომარემ ბ. ა. გ. ჯაბადარმა წევრობაზედ უარი განაცხადა თბილისიდან საზღვარგარედ წასვლის გამო და კამგეობიდან გავიდა.

აგრედვე უარი განაცხადა დეკემბერში თ. კ. მაყაშვილმა, რადგანაც ის იქმნა დანიშნული დეპუტატთა საკრებულოსაგან დამხმარე წევრად თეატრის იჯარის საქმეში და ამის შემდეგ უხერხულად დაინახა კამგეობაში დარჩენა.

2 თებერვლიდან კამგეობის წევრობაზედ უარი განაცხადა თავმჯდომარის ამხანაგმა ბარ. ალ. გოთუამ.

ამნაირად სეზონის დამლევს კამგეობაში ითვლებოდენ ნ. დ. ერისთავი, დ. გ. ნახუცრიშვილი, ალ. ირ. ნანობაშვილი, ივ. გ. გომართელი და მიხ. დ. კილოსანიძე.

იმ კითხვების განხილვის დროს, რომელნიც შეეხებოდენ თეატრის იჯარის საქმეს, კამგეობის სხდომებს ესწრებოდენ გადამწყვეტის ხმით დეპუტატთა საკრებულოსაგან დანიშნული ბირნი თ. კ. მაყაშვილი, თ. გ. ვეზირიშვილი და კაბ. თულაშვილი.

კამგეობა. 1907 წ. სექტემბრიდან 1910 წ. თებერვლის დამლევამდის კამგეობას ჰქონდა, როგორც სპეციალური თავისი სხდომები, ისე სხვა და სხვა კომისიებთან ერთად — სულ 49 სხდომა: სექტემბერში 9, ოქტომბერში 10, ნოემბერში 12, დეკემბერში 9, იანვარში 6, თებერვალში 3. სხდომებს დასწრენ ალ. გ. ჯაბადარი — 3-ჯერ, ბ. ალ. გოთუა — 42-ჯერ, ალ. ირ. ნანობაშვილი — 34-ჯერ, ნ. გ. ერისთავი — 29-ჯერ, დ. გ. ნახუცრიშვილი — 21-ჯერ, კ. ზ. მაყაშვილი — 20-ჯერ, მიხ. დ. კილოსანიძე — 24-ჯერ, ივ. გ. გომართელი — 15-ჯერ, გ. ვ. მაჩაბელი — 1. სხდომები იმართებოდა როგორც დრამ. საზოგ. კანტორაში, ისე დეპუტატთა საკრებულოში, სადაც ესწრებოდა ხოლმე გუბერნიის მარშალი თ. გ. ალ. ბაგრატიონ-დავითიშვილი. კამგეობის წევრებმა შრომა გაინაწილეს შემდეგ ნაირად: დასის და ანტრეპრიზის კამგე კომისიაში არჩეულ იქმნენ ა. ნანობაშვილი, ნ. ერისთავი და მ. კილოსანიძე. რეპერტუარის შემმუშავებელ კომისიაში ბ.ბ. ი. გომართელი, დ. ნახუცრიშვილი და კ. მაყაშვილი. თეატრის კამგე კომისიაში ბბ. ბ. გოთუა, ნ. ერისთავი და ა. ნანობაშვილი, კამგეობის კანცელიარიის საქმის მწარმოებლად მოწვეულ იქმნა იოსებ იმედაშვილი.

კამგეობის საქმეები განსაკუთრებით თეატრის იჯარის აღების შემდეგ იმდენად გართულდა, რომ ძლიერ დიდ შრომას და დროს თხოულობდა კამგეობის წევრებისაგან და რადგანაც კამგეობის წევრები თავიანთი კერძო საქმეებით დატვირთულნი იყვენ, ხშირად ვერ ესწრებოდენ სხდომებს და ვერ ბოულობდენ დროს კომისიებში ემუშავნათ და აკლდებოდენ წარმოდგენებსაც, მთელი შრომა აწვებოდა კისერზედ ერთს ან ორ ბიჭს, და ფაქტიურად მთელი საქმეები მათ ხელში მიმდინარეობდა, თუმცა კი კამგეობის უფლა წევრები ერეოდენ საქმეში და ხშირად ერთი მეორის წინააღმდეგ განკარგულებასაც ახდენდენ.

კამოცდილებამ დაგვიმტკიცა, რომ საქმე წესიერად წავიდეს, საჭიროა, უსათუოდ ამორჩეულ იქმნას ერთი კამგე დირექტორი, რომელიც უნდა იყოს საქმის ფაქტიური კამგე, და რომელიც უნდა ანდომებდეს თეატრს მთელს თავის დროს. ამისთვის მას უნდა დაენიშნოს გასამრჯელოც. თეატრის და დასის ხელმძღვანელობა სხვა კერძო საქმეებთან ერთად „სხვათა შორის“ შეუძლებელია.

კამგეობამ კი უნდა იქონიოს შესაფერი კანტროლი, მისცეს დირექტივები, გასწიოს შესაფერი კანონმდებლობა და საზოგადო ხელმძღვანელობა.

დასი. კამგეობას არა ერთხელ ჰქონია მსჯელობა იმის შესახებ, აიღოს თვითონ დასის ანტრეპრიზა, თუ არა.

უმეტესობა იმ აზრის იყო, რომ, დრამატიულ ხელოვნების განსავითარებლად და დასის უფრო შესაფერ ბირობებში ჩასაყენებლად, უსათუოდ ანტრეპრიზა კამგეობის ხელში უნდა იყოს და უამისოდ მისი მოქმედება სულ უმნიშვნელო იქნებაო.

უმცირესობა სასურველად სთვლიდა, რომ დასი აეყვანა ან ვინმე კერძო ანტრეპრენიორს, ან თვით მსახიობებს შეედგინათ ამხანაგობა. კამგეობას კი უნდა ეზრუნა რეპერტუარზე, რეჟისორზე, გარ-

დერობზე და მიეცა დასისთვის უსასყიდლოთ თეატრი, აღმოუჩინა სუბსიდია და სხ.

ამ კითხვის საბოლოოდ გადაწყვეტა დამოკიდებული შეიქნა თეატრის იჯარით აღებაზედ. ორი წლის გამოცდილებამ იმ დასკვნამდე მიიყვანა გამგეობა, რომ თუ სრულს მის განკარგულებაში არ იქნებოდა თეატრი, ის აღარ აპირებდა ამ სეზონისათვის დასის აყვანას.

ამიტომ, სანამ თავადაზნაურობასთან არ დასრულდა მოლაპარაკება თეატრის იჯარის შესახებ, გამგეობას არ მიუღია ზომები, რომ სეზონისთვის დასი შეედგინა.

სამწუხაროდ არც თვითონ მსახიობებმა მოისურვეს, რომ შეედგინათ ამხანაგობ და დაეწყოთ სეზონი.

მხოლოდ სექტემბრის დამლევს, როდესაც იჯარის საქმე გამოირკვა, გამგეობა შეუდგა დასის შედგენას.

მას მოქმედება მოუხდა ძლიერ ცუდ პირობებში. კასსაში ფული სრულებით არ იყო, და პირიქით ძველი მევალეები გამგეობის წევრებს მოსვენებას არ აძლევდენ. არ იყო რეჟისორი, არ იყო შემუშავებული და დამზადებული რეპერტუარი და ამასთან არ იყო საკმაოდ თვით არტისტებიც.

ქუთაისის დრამ. საზოგადოებამ, რომელიც საქმეს დროზე შეუდგა, ჩვენზედ უფრო ადრე მიიწვია ქ. ჩხეიძე, ქ. დავითაშვილი, ბ. გუნია, იმედაშვილი და სხვ. რის მიზეზით თბილისში აღარ დარჩა ძლიერი დრამატიული როლის ამსრულებელი ქალი და არც დრამატიული გმირისა და მოსიყვარულეს არტისტი. გამგეობა იძულებული გახდა აეყვანა დასი, თუმცა რიცხვით დიდი, მაგრამ ამპლუას მიხედვით კი პატარა და სუსტი. ეს გარემოება მთელი სეზონის განმავლობაში საქმეს ხელს უშლიდა და აფერხებდა. ბევრი სასურველი პიესის დადგმა შეუძლებელი ხდებოდა, რადგანაც შესაფერი არტისტები დასში არ იყვნენ. აგრეთვე დიდად შეაფერხა საქმე იმ გარემოებამაც, რომ ვალ. გუნია, რომელიც გამგეობამ ამოირჩია თეატრის ადმინისტრატორად და იჯარის გამგედ, ქუთაისის დრ. საზ. გამგეობას შერჩა პირობით შეკრული. რადგანაც ბ. გუნია მთელი სეზონით ქუთაისში დარჩა, ჩვენს დასს მოაკლდა ფრიად საჭირო არტისტიული ძალა და თეატრს კი გამოცდილი გამგე.

დასში მიწვეულ იქმნენ აქაური თითქმის ყველა თავისუფალი არტისტები და აგრეთვე ქუთაისიდან ბ. ზარდალიშვილი.

გამგეობა მუდამ იმის ცდაში იყო, ფართე გზა მიეცა ახალგაზდა ძალებისათვის და მით განეხლებინა სცენის მუშაკთა კორპორაცია.

სეზონის განმავლობაში მონაწილეობა მიიღეს შემდეგმა ახალგაზდებმა: ქქ. ჩირგაძემ, კოლხიდელმა, თამ. გოგოლაშვილმა, შოთაძემ, ბბ. შარაშიძემ, პ. ქავთარაძემ, გ. იმხნელმა, ბახტაძემ, ფურცვანიძემ, მურვანიშვილმა, გრიშაშვილმა, მგალობლიშვილმა, ანდრონიკაშვილმა და სხ.

სეზონის დასში მიღებულ იქმნენ: ქქ. ტ. აბაშიძე, ა. კარგარეთელი, ი. ქილარჯიშვილი, მ. მდივანი, ვ. ნებიერიძე, ნ. ჯავახიშვილი, ს. ჩერქეზიშვილი, ბბ. ვასო აბაშიძე; გ. გედევანოვი, ვ. გამყრელიძე, ნ. გვარაძე, ი. ზარდალიშვილი, ი. ივანიძე, ი. იმედაშვილი-ხაშმელი, კ. მესხი, ვ. მატარაძე, ს. საფაროვი ვ. ურუშაძე.

ცვლილება დასშ. ქ. კარგარეთელი ავადმყოფობის გამო დეკემბრის შემდეგ დასში აღარ იყო. ქ. ქილარჯიშვილი გამგეობის ნებართვით მიწვეულ იქმნა ქუთაისში დეკემბრის დამლევს. ქ. ე. ჩერქეზიშვილი გავიდა დასიდან იანვარში ოჯახური მიზეზების გამო. ბ. ვას. აბაშიძე ავადმყოფობის გამო აღარ გამოცხადდა 27 ოქტომბრიდან. ვ. გამყრელიძე იანვარში გავიდა დასიდან, რადგანაც ახალი სამსახურის გამო დრო აღარ შესწევდა რეპეტიციებზედ ევლო. იანვარში მიღებულ იქმნა დასში ბ. ვლ. სარ. ალექსი-მესხიშვილი, რომელიც გაანთავისუფლა ხელშეკრულობისაგან ქუთაისის გამგეობამ.

გასტროლიორები. გამგეობა ყოველივე ღონეს ხმარობდა, რომ მოეწვია საგასტროლოდ ჩვენი დამსახურებული არტისტები, მაგრამ ხშირად ეს მოწვევა შეუძლებელი ხდებოდა ხან უსახსრობის გამო, და ხან კი იმის მიზეზით, რომ ქუთაისში მყოფი არტისტები ვერ პოულობდენ თავისუფალ დროს, როდესაც ჩვენ საშუალება გვეძლეოდა ისინი მოგვეწვია. მიუხედავად ბევრის დაბრკოლებისა საგასტროლოდ მაინც იყვნენ მოწვეული ქ. ჩსეიძე 3-ჯერ, ქ. დავითაშვილი 1-ჯერ, ნ. მ. გაბუნია-ცაგარლისა 2-ჯერ, კ. დ ყიფიანი 2-ჯერ, ვ. გუნია 1-ჯერ.

ამ სეზონის გამოცდილებამ ერთხელ კიდევ ნათლად დაუმტკიცა გამგეობას, რომ დასის შედგენა ნაუცბადევად შეუძლებელია, რომელშიაც არ იყოს გმირების მოთამაშე არტისტები. შეუწყნარებელია ისიც, რომ დასში უსათუოდ მოწვეულ იქმნეს ყველა არტისტები, ვინც კი თავისუფალია, თუმცა სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭიროდ არ იყოს. ამის მიხედვით მომავალი სეზონისათვის დასის შედგენას უნდა შეუდგენ არა ერთის კვირის წინედ, არამედ ახლავე, ესე იგი ნახევარი წლის წინეთ. მოწვეულ უნდა იქმნან მხოლოდ ისეთი არტისტები, რომელნიც აუცილებლივ საჭირონი არიან ნორმალურ დასში. უნდა შემოღებულ იქმნას „ამპლუას“ სისტემა და თვით დასიც, რამდენადაც შესაძლებელია, უნდა განახლდეს.

უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეს ახალგაზრდა არტისტებს, რომელნიც ხშირად იხაგრებიან ჩვენს სცენაზე, რომელთა მეყაითობაზედაც დამოკიდებულია ჩვენი სცენის მომავალი.

არტისტების ჰონორარი. დასის გამგე კომისიამ სეზონისათვის შეიმუშავა არტისტების ჰონორარის განაწილების ახალი გეგმა. წინანდელ წლებში, როდესაც გამგეობა თვიურ ჯამაგირს აძლევდა დასს, არტისტები ერიდებოდენ ზოგიერთ როლებს და აღსრულებაზედ უარს ამბობდენ.

რომ ეს ცუდი ზნე მოსპობილიყო, კომისიამ დაადგინა: დაენიშნოს არტისტებს თვიურ ჯამაგირად მინიმუმი და აგრედვე თითოეულ გამოსვლაზე მიეცეს კიდევ ცალკე გასამრჯელო. არტისტები დაყოფილ იქმნენ კატეგორიებად და თითოეულ კატეგორიას თავისი ჰონორარი დაენიშნა. მაგ.: 1 კატეგორიის არტისტებს თვეში 50 მ. ჯამაგირი და თითო გამოსვლაზე 10 მ., მეორე კატეგორიას 40 მ. ჯამაგირი და გამოსვლაზე 8 მ., მესამე კატეგორიას 30 და სხ.

ეს წესი გამგეობის სხდომაზე ხმის უმეტესობით (კრებას დაესწრო 5 კაცი და მათ შორის კომისიის სამი წევრი) მიღებულ იქმნა.

დასის კატეგორიებად დაყოფამ გამოიწვია დიდი უკმაყოფილება არტისტებში. ამასთან თუ ისინი წინედ როლებს ერიდებოდენ, ახლა ზედმეტის ენერგიით ეწაფებოდენ და ყველას უნდოდა, რომ პიესაში ეთამაშნა, რაც დიდ ქიშპობასა და შინაურ უსიამოვნებას იწვევდა.

მატერიალურის მხრით ეს სისტემა გამგეობისთვის დიდად საზარალო გამოდგა. მაგ. 1 კატ. არტისტი წინედ ღებულობდა ჯამაგირს 80—100 მანათამდის თვეში და ახლა კი მოუწია 150—200 მ., მესამე კატ. 30—50 მ. ახლა კი 80—100 მ. და სხ., გამგეობას აზრად ჰქონდა გაემართა თვეში საშუალოდ 4—6 წარმოდგენა, და ზოგიერთ თვეში კი მოუწია გაემართა 10 წარმოდგენამდის. პიესების დადგმა ჯდებოდა ძლიერ ძვირად. მაგ. პიესა „დალატში“ მარტო არტისტების გამოსვლა ჯდებოდა 180 მანათამდის, „ჰამლეტის“ 182, „სამშობლოში“ 140 და სხვ. გამგეობას ჰქონდა მსჯელობა ამ სისტემის შეცვლაზე, მაგრამ შეუძლებლად დაინახა შუა სეზონში პირობის დარღვევა.

სხვა და სხვა პირობებში ეს წესი შეიძლება მშვენიერიც გამოდგეს, მაგრამ ჩვენს სცენაზედ ამ სეზონში მან არამც თუ ნაყოფი ვერ მოიტანა, შექმნა შფოთისა და უკმაყოფილების ატმოსფერა არტისტებში და გამგეობას მისცა ზარალი 2,000 მანათზე მეტი. ესე იგი გამგეობას რომ ჩვეულებრივი ჯამაგირები დაენიშნა, ამავე პირობებში სეზონი დასრულდებოდა თითქმის უდეფიციტოთ.

დასმა მიიღო ჯამაგირი სეზონში 1904 წ. 1 ოქტომბრ. 1905 წ. 1 მაისამდე: 4,953 მან. 23 კ.; 1905 წ. 1 ენკენ. 1907 წ. ივლისამდე (სამი წლის განმავლობაში) 6106 მ. 90 კ. 1907-8 —ენკენისთვიდან მარტამდე—4,500 მ. და ამ სეზონში კი—5 თვისა და 6 დღის განმავლობაში ნაღდად მიიღეს 6000 მ.

ბენეფისები სეზონში გამგეობამ დაუნიშნა ტასო აბაშიძეს, მარო მდივანს, კოტე მესხს, ვლ. მესხიშვილს, იუზა ზარდალიშვილს, ნ. გვარაძესა და იოს. ივანიძეს.

რეჟისორი. რეჟისორის საკითხი მუდამ შეადგენდა ჩვენი სცენის:თვის საჭირბოროტო საგანს. გამგეობა ყოველივე ღონისძიებას ხმარობდა, ეს საქმე რიგიანად მოეწყო და ხარჯსაც არ ერიდებოდა, მაგრამ თბილისში ვერ იპოვა მან მომზადებული და ჩვენი სცენისათვის შესაფერი რეჟისორი. რომ მომავალში მაინც ეს ნაკლი აეცილებინა თავიდან, გამგეობამ ხელი შეუწყო ყოფილ რეჟისორს ვალ. შალიკაშვილს, წასულიყო მოსკოვში სარეჟისორო კურსებზე და გაევლო იქ უმაღლესი პრაქტიკული სკოლა სამხატვრო თეატრში, რომლის ხელმძღვანელებსაც გამგეობამ შესაფერის თხოვნით მიმართა.

როგორც ბ. იუჟინ-სუმბათაშვილმა, ისე სამხატვრო თეატრის გამგეებმა მიიღეს ბ. შალიკაშვილი თავის მფარველობის ქვეშ და ხელმძღვანელობას უწევენ.

რადგანაც სასურველი რეჟისორი თბილისში გამგეობამ ვერ იპოვა, დააწესა მორიგი რეჟისორობა და მოიწვია რეჟისორებად ვ. აბაშიძე, კოტე მესხი, გ. გედევანიშვილი და კ. შათირიშვილი.

ბ. გედევანოვმა რეჟისორობაზედ უარი განაცხადა, კ. შათირიშვილმა დადგა მხოლოდ 3 წარმოდგენა, ვასო აბაშიძემ მხოლოდ 4, და რეჟისო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რობა უმეტეს ნაწილად ერგო ბ. კ. მესხს.

რადგანაც რეჟისორები იცვლებოდენ, ზედმეტი შრომა დასჭირდა რეჟისორის თანაშემწეს ვას. ურუშაძეს, რომელიც იძულებული ხდებოდა ხანდახან თვითონ გაეწია რეჟისორობა, რისთვისაც მას გამგეობამ მადლობა გამოუცხადა.

რეჟისორობის საქმის უკეთ მოსწყობით გამგეობამ რამდენჯერმე მოიწვია ჩვენი ინტელიგენციის წარმომადგენელნი და მათთან თათბირის შემდეგ გადწყვიტა დაარსებულიყო რეჟისორის დამხმარე წრე, რომელშიაც უნდა ეოფილიყვენ როგორც დრამატ. ხელოვნების მცოდნე პირნი, აგრეთვე ისტორიკოსნი და მხატვარნიც. წრეში, ამორჩეულ იქმნენ: გრ. რობაქიძე, ალ. ანჩელი, ილ. ზურაბიშვილი, ნიკო ლორთქიფანიძე, მიხ. ადამიშვილი, ტრ. რამიშვილი, დევ. მეტრეველი, ალ. ივ. სარჯიშვილი, ალ. ჰეტ. სარჯიშვილი, მ. თოიძე და სხ. რამდენჯერმე შეიკრიბა ეს წრე და იქონია საზოგადო მსჯელობა თეატრის სვეტლის და რეჟისურის უკეთესად მოწყობის შესახებ, მაგრამ ბრაქტიკულად ამ კრებებს არავითარი მნიშვნელობა არა ჰქონია და წარმოდგენებიც ჩვეულებრივად მიდიოდა. თებერვლის დამლევს და მარტში რეჟისორობა გადაეცა ბ. ვლ. ს. მესხიშვილს, რომლის ხელში მთელი დასი გამოცოცხლდა და წარმოდგენების საქმეც გაუმჯობესდა. დამხმარედ მასსიური სცენების მოწყობაში და საზოგადოთ არტისტებთან საქმეცადინოდ ბ. მესხიშვილმა გამგეობის თანხმობით აირჩია ბ. კ. ანდრონიკაშვილი. ბ. ალ. მესხიშვილი რეჟისორობდა უსასყიდლოდ.

რეჟისორი არის სცენის დედაბოძი, მისი სულის ჩამდგმელი და სანამ ქართულ სცენას მცოდნე, ნიჭიერი და მუყაითი რეჟისორები არ ეყოლება, ქართული დრამა მუდამ ისეთ გამოურკვეველ მდგომარეობაში იქნება, როგორც იყო ამ სეზონში.

ამიტომ, გამგეობის აზრით, გარდა ბ. შალიკაშვილისა კიდევ უნდა მიეცეს საშუალება სხვა ახალგაზდებს რეჟისორობა შეისწავლონ და წესიერი ხელმძღვანელობა გაუწიონ მომავალში მაინც მშობლიურ სცენას.

რეპერტუარი. ჩვენი მწერლობის არც ერთი დარგი არ არის ისეთი სუსტი და განუვითარებელი, როგორც დრამატიული ლიტერატურა. ორიგინალური დრამა ვერ განვითარდა ჯერ ჩვენს ნიადაგზე და თარგმანები-კი საზოგადოების მოთხოვნილებას საკმაოდ ვერ აკმაყოფილებენ. მაინც, სანამ მშობლიური სელოვნება განვითარდებოდეს, იძულებული ვართ თარგმანებით ვისარგებლოთ. ამ მხრივ გამგეობა ცდილობდა, რომ საუკეთესო პიესების თარგმანები შეეძინა და ცნობილ მწერლებს აძლევდა საოთარგმნელად. ორიგინალური პიესებისათვის დანიშნული ორი პრემია [200 მ. და 100 მ.] მაგრამ ჯერ საპრემიოდ არც ერთი პიესა არ წარმოდგენილა.

რეპერტუარის სიმცირისა და ჩვენის საზოგადოების მოთხოვნილების მიხედვით, რა თქმა უნდა, შეუძლებელი იყო დრამატ. ხელოვნების ერთ განსაზღვრულ დარგს დაედგომოდით და რეპერტუარიც ისე აგვერჩია: ესე იგი ისტორიული პიესები თუ მხოლოდ თანამედროვე დრამა, კომედია და სხ. ამ მხრივ რეპერტუარი ძალიუნებურად შერეული ხასიათის უნდა ეოფილიყო. მაგრამ აუცილებლივ საჭირო იყო ერთი გეგმა შეგვემუშავებინა და მთელი სეზონის რეპერტუარიც წინდაწინვე გვცოდნოდა.

საქმეს ასეთ ბირობებში ესეც შეუძლებელი გამოდგა და რეპერტუარს მიეცა არა მარტო შერეული, არამედ შემთხვევითი ხასიათიც

რადგანაც სეზონი გამგეობამ მოუმზადებლივ დაიწყო, მან შეიმუშავა საჩქაროთ მხოლოდ პირველი თვის რეპერტუარი, მაგრამ ესეც ვერ განხორციელდა, რადგანაც ჩვენის დასით არ მოხერხდა ეველა არჩეული პიესების წარმოდგენა, ამავე მიზეზით არ განხორციელდა ის რეპერტუარი, რომელიც გამგეობასთან ერთად შეიმუშავა ზემოდ დასახელებულმა ინტელიგენტთა წრემ.

პიესებს უმეტეს ნაწილად ირჩევდა თვითონ რეჟისორი დასის შემწეობით და გამგეობა იძულებული ხდებოდა თავისი თანხმობა გამოეცხადებინა.

გამოცდილებამ დაგვანახვა, რომ უმთავრესად რეპერტუარი უნდა შემუშავებულ იქმნას დიდი ხნის წინადვე, სანამ სეზონი დაიწყებოდეს. და ამ რეპერტუარის მიხედვით უნდა მოწვეულ იქმნას დასი, რომელსაც არც მისი შესრულება გაუჭირდება.

პესები. სულ გაიმართა 39 წარმოდგენა. შესრულებულ იქმნა 46. მათში ორიგინალური 9, თარგმანი 27, გადმოკეთებული 5, ისტორიული 5.

ბიბლიოგრაფია

„ფეიქრები." დრამა 5 მოქმ. ჰ. ჰაუპტმანისა, თარგმანი ივ. ახალშენიშვილისა, ავტორის სურათით და პეტრე კოგანის კრიტიკულის განხილვით, გამოცემა „ახალი თეატრი"-სა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჰერგარტ ჰაუპტმანი

ჰერგარტ ჰაუპტმანს ნაკლებად იცნობს ქართველი მკითხველი საზოგადოება, მიუხედავად იმისა, რომ ზემოხსენებული დრამატურგი უკვე დიდი ხანია მსოფლიო მწერალთა გუნდის დამამშვენებლად იქმნა აღიარებული. ჰაუპტმანი დაიბადა 15 იან. 1862 წ. სილეზიაში, ობერზალცბურნის აგარაკში. გიმნაზიის დასრულების შემდეგ, იგი შევიდა სტუდენტად იენის უნივერსიტეტში. აქ იგი დაუახლოვდა სტუდენტთა წრეს, რომელიც დიდის გულმოდგინებით სწავლობდა ბუნებისმეტყველობას და სოციალურ პოლიტიკას. ამ წრემ დიდი გავლენა იქონია ჰაუპტმანზეც და მის ნაწერებზედაც: დარვინი და მარქსი მის პოლიარულ ვარსკვლავად შეიქმნენ. ჰაუპტმანის დრამებს ამ ბუმბერაზ ფილოსოფოსების გავლენის ღრმა დაღი აზის: ნატურალიზმი და მძლავრი სოციალური ინსტინქტი — აი, ჰაუპტმანის დრამების ორი დამახასიათებელი თვისება. ჰაუპტმანის პირველმა დრამამ „მზის ამოსვლის წინ“ დიდი მითქმა-მოთქმა და უკმაყოფილება დაბადა საზოგადოებაში. დიდებულ დრამატურგს ცოტა შრომა, მუყაითობა და ხასიათის სიმტკიცე არ დასჭირდა ამ ცილისწამებისა და უძლურ ბრაზის დასათრგუნვად. მისი კალამი ამაყად ღვრიდა ცრემლებს თეთრს ქაღალდზე და ეს ცრემლები ამცნობდენ ქვეყანას, რომ „ჰაუპტმანი კვლავ ცოცხალია, მას კვლავ აქვს ბრძოლის სურვილი“. ასეთ ცრემლებად უნდა ჩაითვალოს ჰაუპტმანის დრამები „შერიგების დღესასწაული“, „მარტოხელნი“, „მეეტლე ჰენშელი“ და „ფეიქრები“. ყველა ამ დრამებში ჰაუპტმანი კოლლექტივისტია. „ჩაძირული ზარი“-დან ჰაუპტმანის შემოქმედების ახალი ხანა იწყება. იგი, მგონი მსოფლიო ლიტერატურის ზედგავლენით, თავს ანებებს კოლლექტივიზმს და ჰშლის ინდივიდუალიზმის დროშას.

მის უკანასკნელს მშვენიერ დრამას „ჯანნელე-“ს, რომელიც უკვე გადათარგმნილია ქართულად, ღრმა დაღი აზის ამ ინდივიდუალიზმისა. სასურველი იქნება ქართველმა მკითხველმა საზოგადოებამ ყურადღება მიაქციოს ამ ნიჭიერსა და გულწრფელ დრამატურგს.

„ახალ თეატრს“ თავის შოქმედების დასაწყებად აურჩევია ზემოდ დასახელებული პიესა „ფეიქრები“. ურიგო გამოცემა არ არის, მაგრამ მისი ფასი 50 კ. ქართველი მკითხველისათვის ძვირად მიგვაჩნია.

ცისკარი

სათეატრო ამბები

დრამატ. საზოგადოებისა და სამუდამო სცენის 30 წლის შესრულება. წელს 22 ივნისს 30 წ. სრულდება, რაც ქართული დრამატ. საზოგადოება და სამუდამო სცენა დაარსდა. ეჭვი არ არის, საზოგადოება რითიმე აღნიშნავს ქართული სცენის განვითარების ამ ისტორიულ დღეს.

— ვასო აბაშიძის საბენეფისოდ პარასკევს, 19 მარტს, წარმოდგ. იქნება „გაკოტრებული აზნაური“.

— დღეს ქართულ თეატრში ქართველ მსახიობთა ამხანაგობის ძალის-მიერ წარმოდგენილ იქმნება „მეგობრობა“ ნ. შიუკაშვილისა და „დრამატიულ განყ. წევრი“, ივ. კომართლისა. დასები ყველასათვის ხელმისაწვდომია.

— ქართველ მსახიობთა ამხანაგობა შესდგა და 14 მარტიდან იწყებს წარმოდგენების გამართვას ქართულ თეატრში. ამხანაგობაში ირიცხებიან: ქ-ნნი ტ. აბაშიძე, ნ. გამყრელიძე, ა. კარგარეთელი, ნ. კოლხიდელი, ბ. ნებიერიძე; ბ-ნნი ვ. აბაშიძე, ვ. გუნია, ვ. გამყრელიძე, გ. გედევანოვი, ალ. იმედაშვილი, ი. იმედაშვილი-ხაშმელი, დ. მგალობლიშვილი, ზ. საფაროვი, კ. ჭელიძე; მასტროლიორები ნ. მ. გაბუნიაცაგარლისა, ნ. ჩხეიძისა და კ. ყიფიანი. რეჟისორი ვ. გუნია, სუფლიორი ბ. ბეგლარიძე, საქმეების გამგეა ამხანაგობა.

— მეკლენბურგის კვარტეტის კონცერტი გაიმართება 18 და 19 მარტს თბილისის მუსიკალურ სასწავლებლის საკონცერტო დარბაზში ი. კოციანის (პირველი სკრიპკა) კრანცის (მეორე სკრიპკა) ბორნემანისა (ალტი) და ბუტკევიჩის (ვიოლონჩელი) მონაწილეობით. ჩვენს ჟურნალში ვათავსებთ სურათს ჩეხიის ცნობილ მუსიკოსის კოციანისას, რომელიც მესამედ ესტუმრა თბილისს.

რედაქ.-გამომცემელი **იოსებ იმედაშვილი**

დიდი იაფობა გაგრძელდება კიდევ 6 დღეს

პ. ს. დოროჟნოვი

სოლოლაკის ქ., სახლი გურგენოვისა, ტელეფონი № 583.

დარჩენილი საქონელის ძლიერ იაფად გასასყიდად

დიდი იაფი ვაჭრობა

იქნება კიდევ ექვს დღეს

15, 16, 17, 18, 19 და 20 მარტს

ქართული თეატრი

— პარასკევს, 19 მარტს —

(ვ. ა. აბაშიძის საბენეფისოთ)

წარმოდგენილი იქნება

გაკოტრებული აზნაური

კომ. 5 მოქ. თარ. ვ. აბაშიძისა

—) ორშაბათს, 29 მარტს 1910 წ. (—

მ. მ. საფაროვა—აბაშიძის

თაოსნობით და მონაწ. წარმოდ. იქნება

ხათაბალა

კომ. 4 მოქ. გ. სუნდუკიანცისა.

მონაწილეობენ: ნ. მ. გაბუნია ცაგარლისა, მ. მ. საფარ.-აბაშიძისა და სხ. ბ-ბ. ვ. აბაშიძე, კ. ყიფიანი და სხვ.

დასაწყისი 8 საათ. ⁂ რეჟისორი ვ. აბაშიძე

დროება ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი, კვირეული დამატებით. წლიური ფასი 8 მ. და 50 კ. ნახევარი წლით 4 მ. 80 კ. ერთი თვით 80 კ., ცალკე № 5 კ., დამატებით 7 კ. ხელის მოწერა მიიღება: თფილისში „დროების“ კანტორაში და ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზ. წიგნის მაღაზიაში ი. ავალიშვილთან; ქუთაისში ის. კვიცარიძესთან, ხონში: გ. მებუკესთან, გორში: შველიძესთან, ჭიათურაში ს. ტარუაშვილთან. ფული გამოიგზავნოს Тифлисъ, ред. „Дроеба“ И. С. Агладзе. რედაქ.-გამომცემელი ი. ს. აგლაძე.

ახალი სხივი ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი. წლიურად 7 მ. ნახევარი წლით 4 მ. საზღვარ-გარეთ 14 მ. ნახევარი წლით 7 მ. სამი თვით თფილისში 2 მ. 20 კ., თფილის გარეთ 2 მ. 50 კ. ერთი თვით 80 კ., თფილის გარედ 90 კ. ადრესი; რუსის ქ., № 3, ზემო სართული. Тифлисъ типог. „Шрома“ Кал. Коп. Цуладзе.

Тифлисъ, Тип. Т-ва „Печатное Дѣло“, Дворцовая ул. д. Гр. Дорганстьа.